



72
71

© 1971
საქართველოს
საბავშვო გამომცემლობა

1971 թվաթիվ N 10

ՀԱՅ



ნახატი ზურ ლუისძისა

მთვარეაშვალნი

იორაბ ქვეარვლიძე

ცა თვითმფრინავით დავსერე,
გემით ზღვა მოვითარემე;

ავტომობილით აქ დავქრი,
მთვარემობილით—მთვარეზე.

ორმო

ნახატი მანანა მორჩილაძის

მარი გოლუაძე

ეზოში ორმო იყო; გაიარა იხვის ქუქულ-
მა, ვერ დაინახა და შიგ ჩავარდა.

— ვახ-ვახ, ვახ-ვახ, მიშველეთ!—აყვირდა
შეშინებული.

მაშინვე მურა გაჩნდა ორმოსთან, მერე მა-
მალმა მოიბინა, მერე ბეკეკაც მოვიდა...
ხის ტოტზე ჩიტი ქოთქოთებდა შეშფოთე-
ბული.

— როგორ ვუშველოთ?—შეწუხდნენ ყვე-
ლანი.

— თავდერილი რომ დაბრძანდები, რატომ
წინ არ იყურები?—გაუჟავრდა მურა.

— აბა, რა გაწუხებს, რისა გეშინია, ჩემთან
იყავი!—დაამშვიდა ორმომ ქუქული.

— აქ არ მინდა, არ მინდაა!..—აყვირდა
ქუქული—მზე რომ წავა, ღამე მოვა, ღამე
მგელს და ტურას მოიყვანს, მგელი და ტუ-
რა შემქვამს.

— ნუ გეშინია!—დაუყვავა მურამ,—ცო-
ტაც მოითმინე, სადაცაა სოსო ბიჭი მოვა.

— ჩვენ არ მოგშორდებით, გიყარაუ-
ლებთ!—გამამაცდნენ ბეკეკა და მამალი.

— დაიკარგეთ აქედან,—გაეცინა მურას,—
თქვენ თვითონ საყარაულო ხართ!

იხვის ქუქულის კი მზე მიეპარა, ყურთან
მიუცოცდა და ჩასჩურჩულა:

— ნუ გეშინია, მე ისეთ ვინმეს მოგიყვან,
ხელად გიშველის.

მზემ ტაში შემოაპკრა, ქარს მოუხმო, უბრ-
ძანა: საიდანაც გინდა და როგორც გინდა,
ღრუბლები მომგვარეო.

ქარი გავარდა, აქეთ ეცა, იქით ეცა, მთა
და ბარი შესძრა:

— აი, თურმე ეს გაბერილები სადა ბრძა-





ნებულან, ზედ მთების კორწოებზე წამრ-
სკუებულან, ზოგი გრილ ზევში ჩაკოტრან-
ლებულა, ზოგი მწვანე ტყის ქოჩოხზე გა-
მოტილა.

ქარი ღრუბლებს ეცა, სულ კინწისკვრით
წამოყარა და ცხერებივით გაირეკა წინ, მზეს
მიბგვარა.

მზე ღრუბლებს ამოეფარა.

— აბა, ახლავე იტირეთ! — დაუსისინა ქარმა.
ღრუბლებმაც მეტი რა იციან, მაშინვე
ატირდნენ, წვიმის წვეთები წააბაწკუბით,
ტყაბატყუბით ჩამოცივდნენ მიწაზე. ორმო-
ში წყალი ჩადგა. წყალი ჯერ ფეხებში შეუღ-
და იხვის ქუჭულს, მერე თანდათან ამოიწია
და იხვის ქუჭული ყვითელი ყვაილივით
ამოიყვანა.

— აბა, ახლა თქვენც მოუსვით აქედან! —
ქარი ისევ დავრია ღრუბლებს, აქეთ-იქით
მიყარ-მოყარა, — წადით, ისევ დიდძინეთ.

ღრუბლები ბრაზით აიგსნენ:

— ამ ერთი ცილა უჭკუო ქუჭულისათვის
შეგვაწუხებ?!

— სწორედ ამ ერთი ცილა ქუჭულისა-
თვის! — გაბრაზდა ქარი.

ღრუბლები გაიფანტნენ.

მზემ ისევ გამოიხედა.

— არა, ორმო მაინც უნდა ამოივსოს, აი,
მე რომ ჩავვარდე, წვიმა კი არ მიშველის,
დამახრჩობს! — თქვა ყიცილიყო მამალმა.

ამ დროს სოსო ბიჭი გამოჩნდა. პატარა
კაკლის ხის ნერგი მოატუნტუნა და მაშინვე
ორმოში ჩარგო, მიწა მიაყარა და თან დაა-
ყოლა:

— გაგიმარჯოს, გაიხარდე დიდი ხე!



ოქტომბერი

ზზია ჩხაიანი

ვაზებს, კაკლებს,
ცაცხვებს, აღვებს
სცვივათ ოქროს ფანტელი.
დგას ფერადი ოქტომბერი
ფოთლის კორიანტელით.

სად გინახავთ მოფარფატე
პეპლის ჯარი ამდენი!
გუშინ მთელ დღეს მე და ნატო
დასაჭერად დავგვედით.

ნახატი მიორბი როინიშვილისა

სლოკო

თეთრი სოკო,
ღიღი სოკო
ხის ქვეშ დასკუპებულა,
ღიღი ქული,
თეთრი ქული
გაუშლია მეფურად...

ირგვლივ კობტად ჩამომსხდარა
მთელი მისი ჯაღაბიცი...
ყველა ერთად აკანკაღდა,
რომ შემნიშნეს კაღათით.



ნახატები ზურაბ შორჩიძისა



აპარგავანი ნოზი სი


ზ ლ ა პ ა რ ი

მთის ფერდობზე შეფენილ პატარა სოფელში ცხოვრობდა ერთი პატარა მწყემსი. ამაჟობდა პაპისაგან დანატოვარი ძველისძველი, კოხტად გამოთლილი სალამურით. პატარა მწყემსი ისე ჯადოქრულად უკრავდა სალამურზე, რომ ტყის ჩიტებიც კი მისგან სწავლობდნენ ვალობასა და სტვენას. გაინაბებოდნენ და უფროს მიუგდებდნენ ხოლმე ხან მზიარულ, ხან სევდიან ჰანგებს.

სალამურში კი ცხოვრობდა შვიდი და-ძმა, შვიდი ნოტი: დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა და სი. მათ ვერავინ ხედავდა, ვერავინ ამჩნევდა, მაგრამ ყველამ იცოდა მათი არსებობის ამბავი. მართლაც და, ისინი რომ არ უოფილიყვენენ, მაშინ ხომ ვერც სალამური ამოიღებდა ხმას და ვერც პა-

ტარა მწყემსი გაითქვამდა სახელს თავისი მომა-ჯადოებელი დაკვრით.

ერთ მშვენიერ დღეს პატარა მწყემსი ქალაქში მიიწვიეს. ბავშვთა ოლიმპიადა ტარდებოდა და ისიც სხვა სოფლებისა და ქალაქების მუსიკოსებს უნდა გასჯიბრებოდა. რაა ვასაკვირველი, მწყემსს ძალიან გაუხარდა... და, ამავე დროს, ააღელვა ამ მიწვევამ. ხომ შეიძლებოდა, ისე კარგად დაეკრა სალამურზე, რომ მისი ამბავი სოფელს გასცდენოდა და მთელს ქვეყანას მოსდებოდა. მაგრამ... ვაითუ მხოლოდ საკუთარ სოფელში მოსწონდათ მისი დაკვრა! ვაითუ ქალაქში სიცილი-დაც არ ჰყოფნოდათ პატარა მწყემსის მუსიკოსობა.



დადგა შეჯიბრების დღეც, საოპერო თეატრის დარბაზი გაქედილი იყო ნორჩი მაყურებლებით. სცენაზე გამოსასვლელად ემზადებოდნენ ხელოვნების პატარა ოსტატები. ბავშვთა სასულე ორკესტრის წევრები, მომღერლები, მოცეკვავეები.

აბა, ვინ იცოდა, თუ რა ხდებოდა ამ დროს პატარა მწუქემსის ძველისძველ, პაპისაგან დანატოვარ კოხტად გამოთლილ სალამურში.

მღელვარების დასაოკებლად მწუქემსი წყლის დასალევად წუთით გარეთ გავიდა და თავისი სალამური სკამზე, სასულე ორკესტრის საკრავებთან მიატოვა. სალამურის მრგვალად ამოჭრილ თვლებიდან რიგრიგობით თავები ამოჰყვეს ნოტებმა: დომ, რემ, მიმ, ფამ, სოლმა, ლამ და რა თქმა უნდა—სიმაც. მოიხიზლდნენ უცხო საკრავების ელვარებით. ნოტმა სიმ კი, ცოტა დააკლდა, გონება კინაღამ დაკარგა, სული შეუფუბდა, თვლები დაუბრმავა ოქროსფრად მოკაშკაშე ლითონის საკრავების სილამაზემ. სოფელში უოფნისას მას ზშირად ესიზმრებოდა ზოლმე უცხო საკრავები, ახლა კი ყველაფერს თვალნათლივ და ცხადად ხედავდა.



— დებო და ძმებო, ერთი წუთით აქ მოდით!— წაიმღერა ნოტმა სიმ და სალამურში გაუჩინარდა. დანარჩენი ნოტებიც ჩაჰყვნენ ქვემოთ.

ნოტმა სიმ დამცინავად მოავლო თვალი განაბულ და-ძმებს და რიხინად დაიწყო:

— ყური მიგდეთ, რასაც გეტყვი: მე ამ წუთში გადავწყვიტე, რომ სალამური მივატოვო და აქედან გადავბარგდე...

— რო?!—ყურებს არ დაუჯერა დაბალმა და მსუქანმა დომ.

— ჩმახავს რადაცას!—მხარი აუბა დოს ეშხიანმა მიმ.

— დიახ, დიახ,—განაგრძო სიმ,—უნდა მიგატოვოთ!.. მეყოფა სულ ამ ჯახარაკ სალამურში ცხოვრება. მე ღირსი ვარ, ყველაზე ღამაჰ საკრავში ვიმღერო...

— თავში აუვარდა,—დაიყვირა შუათანა ძმამ, ფამ.

— ერთი ამას დამიხედეთ, ამ ბლენდ ამპარტავანსა,—გაცხარდა ცისფერთვალა ლა.

ნოტი სი კი, ვითომც აქ არაფერიო, განანგობდა:



— თქვენ უნდა გახსოვდეთ, თუ ვინა ვარ მე-
თქვენ გავიწყდებათ, რომ ყველაზე მაღალი ნო-
ტი ვარ ამ ქვეყანად, ყველაზე მაღალი ნოტი—სი!
ერთი მიზნით რა ჯანდაბა დამჩენია ამ ტე-
ტია სალამურში?

ეს თქვა თუ არა, დაჰკრა ფეხი, გაძვრა სალა-
მურის თვალში და დაიკარგა. ნოტი სი ისე მო-
ხერხებულად შეძვრა თვალისმომკრეალად მზო-
ნავ ვალთორნის დრუში და ისე ეშმაკურად მიი-
მალა კუთხეში, რომ ვალთორნის ნოტებმა ვე-
რაფერი შეამჩნიეს.

ამ დროს თეთრბაფთიანმა კონფერანსიე გო-
გონამ მაყურებელთა დარბაზს აცნობა, პიონერთა
სასახლის ბავშვთა სასულე ორკესტრს მოუსმი-
ნეთო. ორკესტრის წევრებმა თავთავიანთი საკ-
რავები მოიმარჯვეს და სცენაზე განლაგდნენ.
ფარდა გაიხსნა. მაყურებლები ტაშით შეეგებნენ
პატარა ღირიფორსს, მან ჯოხი აიქნია და კონ-
ცერტიც დაიწყო.

ერთ ხანს სულგანაბული ისმენდა დარბაზი სა-
სულე ორკესტრის ჰანგებს. მაგრამ უეცრად, ყვე-
ლასათვის მოულოდნელად, ვალთორნამ ისე სა-
შინლად დაიკვიპინა, ისეთი წრიპინა ხმა ამოუშ-
ვა, რომ მაყურებლები ახარხარდნენ და დარბაზი
გუგუნმა გააყრა. გაოგნებული პატარა ღირი-
ფორი ჯერ გაწითლდა, მერე თვალთავან ცრემ-
ლები გადმოსცვივდა. ფარდა დასურეს.

ვალთორნის შეცბუნებულმა ნოტებმა მაშინვე
შეამჩნიეს მათი საჯაროდ შემარცხვენელი, ბნელ
კუნჭულში შიშისაგან აკანკალებული ნოტი სი.

— ეს იყო, ეს იყო!

— საიდან ჩამოფრინდა?

— ნეტა ვინ ოხერია?

— ვიცნობ, ვიცნობ,—თქვა ვალთორნის ერთ-
ერთმა მკვიდრმა,—ეს ხომ სალამურის ნოტია.

— მერე, ჩემო ძმაო და კეთილო, აქ ვინ მო-
გიპატიჟა, სალამურისთვისაც გილალატნია და
ჩვენც ხომ აგვირიე და აგვირიე საქმე. აქედან
დაიკარგე, თუ თავი არ მოგტყულებია!

ვალთორნის ნოტებმა კინწისკვრით გამოაგდეს
სი. მაგრამ, ნურას უკაცრავად, ნოტი სი, ყველა-
საგან შეუმჩნევლად ახლა ფლეიტაში შეძვრა და
იქ გაისუსა.

კონცერტი განახლდა, მაგრამ ვაი, ასეთ განახ-
ლებას: არ გაუღვლია ერთ წუთსაც, რომ ახლა


ფლეიტა გაცოფდა, ისე ყურისწამლებად აწრიპინდა, რომ მაყურებლებმა შეურაცხყოფილად იგრძნეს თავი და აქა-იქ სტვენაც გაისმო. პატარა ღირიჟორი სირცხვილით აღარ იყო.

ამ დროს კი ფლეიტის ნოტებს პაკიმარივით გვეთანგათ აბეზარი ნოტი სი და გარეთ მიათრევდნენ.

ვინ აღწერს, რა დღეში და რა ყოფაში იყო პატარა მწყემსი. ორკესტრის შემდეგ ის უნდა გამოსულიყო სცენაზე, სალამური კი აღარ უკრავდა, ერთი თვალი გაუქმებულიყო და ხმას არ გამოსცემდა. განცვიფრებული და დამწუხრებული მწყემსი თავში ხელებს იცემდა, ეს რა დამემართაო, არასოდეს ჩემს სალამურს არ უღალატნია და რაღა მიინცდამინც ასლა მიმუხთლაო. თეთრბაფთიანმა კონფერანსიე გოგონამ ფრთხილად აიღო ხელში სალამური და ჩააბერა, ნეტავ რა დამართაო. ჩააბერა და ჰო, საკვირველებავ! სალამურის შვიდივე თვალმა ხმა ამოი-

ღო, მეშვიდე ნოტი სიც ამღერდა ძველებური ემხით. გახარებულ მწყემსს იმის დროც აღარ ჰქონდა ეფიქრა, ეს ყველაფერი როგორ მოხდაო, დაველო ხელი სალამურს და სცენაზე გავარდა. თურმე ნუ იტყვიო, ფლეიტის ნოტებმა მანამ არ მიაწებეს თავი სის, სანამ უკანვე სალამურში არ ჩააბრუნეს.

იმ საღამოს დარბაზი ტავით დაანგრის მაყურებლებმა სალამურის მომხიბვლელი ჰანგების გამო. გატაცებით უკრავდა პატარა მწყემსი და თვალწინ ედგა თავისი ლამაზი სოფელი, იალღზე გაშლილი ფარა. ჰოდა, აბა, მითხარიო, ეს ამპარტავნობა რომ არ გამოეჩინა ნოტი სის, რომ სცოდნოდა ყოველი ნოტი მხოლოდ თავის ადგილზეა ლამაზი და ტკბილმთვანე, ხომ არ შეარცხვენდა ბავშვთა სასულე ორკესტრს!? და რომ არ დაბრუნებოდა თავის მშობლიურ სალამურს, ხომ ვეღარ მოხიბლავდა პატარა მწყემსი ამდენ ხალხს!?





ნათი ზაქა ქაჩაიძის

მამულ ჩაქაიძის

ნათელ გვირგვინით მოჩანან ელიზბარ, შალვა, ზიძინა
კახეთის მხსნელნი გმირები მტარელისგან დატანჯულები!

საი ღირსული ქართველი

საქართველოს სწარსეთისგან სიცოცხლე დაწვლით კახეთის ნოეფერ მიწაზე დახასხ-
ჭქონდა გაშწარებული.

მეწვიდმეტე საუკუნეში მაბაბანს მგირემ კადამთიფლებმა ბასტრიონის ციხეში მოი-
მტკროვან ისედაც კახანაგებულ ქვეყანას კალათეს, მესეთად გაიხადეს ზღაფურდის დი-
კალიასაგით შემოუსია ეიზილბაში და დე-
ფეხული ტაბარი. უსწავფრო იყო მათი თე-

ხედობა: აუბჯრ იკებდნენ და უოგელსირი
აეიწროვებდნენ მკვიდრ მოსახლეებს.

მეტის მოითქნა აღარ შეიძლებაოდა...

წმწ წულს კახეთი იყუთეს სხალსო
აჯანუბამ. აჯანუბანს მეთაურობდა სამი ღირ-
სეული ქართველი—ელიზბარ და შალვა
ქანის ფრისთაჩი და ზიძინა ჩოლოფაშვილი.
მათ მძარს უსწრდა ზაღლ არაგვის ფრის-
თაეიც.

აჯანუბეულებმა მუსრი გავლეს დაუბატი-
ქებულ სტუმრებს, ერთი შეტყეით აიღეს
ბასტრიონი და ალბეფრდი.

ამ აშბაგმა, ცხადია,
შაბის დიდი გულის-
წურომა გამოიწვია; მან
ქართლის მამინდელ
მეფეს, ვახტანგს, უირ-
მანით უბრძანა:—დაე-
უოჩნებლიე მეფეფრო
აჯანუბის მოთაფენი
და სიყვდილით დეგნა-
ჯა ისირი.

მუხინათურად მოკე-
ლეს არაგვის ერისთა-
ვი ზაღლ. ელიზბარ,
შალვა და ზიძინა კა-
ხეთის მმართველმა,
მურთუზაღ ეულიხინმა
შეაბურო და შაბს გა-
შეხაფნა.


შალვას და ელიზ-
ბარს თაფები მოკეე-
თეს.

ზიძინა ასო-ასო
აჭქნეს...

გმირთა სწეულის ნაუფეთები მანამ წყნს
რა დია ცისქვეშ, სინამ აქურს სმშეხბა
მადლი არ შიიხეს და თაფანთ ეულენამი
არ დამბრეს.

რამდენიმე წლის შემდეგ წამებულთა გვა-
შები ქართველებმა მოიპარეს და სამთაბ-
ლოში ჩამოსაწესეს.

შმოფლმა საღლმა სამშობლოსთესთ თე-
დაფეხული გმირები დიდი ზტყით მიაბა-
რნა მშობლოურ მიწას. სამიე დაბარსული
ერთ სამარეში—იკორთის მთაფრანკელოს-
თა ტაბარში.



იკორთის მთაღლ და გაბრეღლ მთაფრანკელოსთა ტაბარი, სადაც ხამ-
კელობს წინ ერთი სამარეში ზაბანა ელიზბარ და შალვა ქანის ერისთავნი
და ზიძინა ჩოლოფაშვილი.



კუდგინჯილია შელიანს
 ჰო, ჰო, ჰო რა რთველი აქვს!
 ცალკე აწეობს მტევნებს და
 ცალკე აწეობს ავიდოს,
 სურს ზირსავე კაღლთა
 დათუნინს აჭკიდოს.

ეს რა საცარება,
 ხედავთ? მორბის გოდორი,
 აკანკაღდა შელიან,
 როგორც ვერსვის ფოთოლი.

გადაგორდა გოდორი,—
 ბიჭოს! ციუვი გამოხნდა,
 იკისკისა, ისტუნა,
 მერე ვაზსე წამოჯდა.

მორბის სდარბი ქაცვია,
 ვკლის ქურქი აცვია;
 მორბის ტურა კუდგრძელი:
 — მეც მაჭამეთ ურძენი!—

სად იყო და სად არა,
 გამოვარდა ბასარა:

— ვის ურძენს ჰერეფთ?— შეჭყეფა,
 ვინ ვის ახწრებს,— გარბინ,
 აბა, ჩქარა, იმარჯვეთ,
 ჰე, ვინ უფრო მარდია.

დათვი შედგა ღობესე,
 ატვდა ღიწინ-ღიწინი,
 აბურღღუნდა ბაჯბაჯა,
 მელა კვადება სიცილით.

სად გარბინართ, ბრივევბო,
 კუდგუშუშულას რთველი აქვს!
 ასე დაემართება
 ვინც აჭყება შელიანს!



ნახატები ვახანგან ბულინაშვილისა

თევზაობა

გიორგი პაპუაშვილი

მე ბადეს ჩავდგამდი ხოლმე წყალში, გურამი ზემოდან დეფუარტსუნებდა ჩექმიანი ფეხებით, ქვებს შუარყევდა, ნაპირებშიც შეუჩინჩხილებდა და მეტყუოდა, ამოსწიეო. ამოვწევი და ცარიელი ბადე ამომქონდა.

არც მე ვარ ბატარა და არც გურამი. ჩვენი შვილები უკვე თქვენსავით სკოლაში სწავლობენ. მაგრამ თევზაობა ჩვენც გვიყვარს. გურამს ბატარა ბადე აქვს და სათევზაოდ დავდივართ, როცა კი მოვიცლით.

ერთხელ ამოვიღე ცარიელი ბადე. მეორედ, მესამედ... მეოთხედ რამდენიმე ლიფსიტა ამოჰყვა. ერთი ცოტა მოზრდილი იყო.

— მოზრდილი დატოვე და დანარჩენი ისევ წყალში გადაუტახე!—მითხრა გურამმა.

— ამათაც დავტოვებ, არ მემეტება!

— გადაყარე!—შუბლი შეიკრა გურამმა, — დაიზრდებიან, სკობია მსხვილები დავიჭიროთ.

ხეობას აუწყევით და კუთხე-კუნჭულ გამოვჩხრიკეთ ჩინჩხვლები და კლდის პირები, ქვები და ჩირგვები.

— ერთი ოცი თევზი მაინც დავგაჭერინა და ჩვენს ბედს ძალდი არ დაჰყვფს!—ვთქვი ხმამალა.

— დავიჭერო, ნუ გეშინია!—დამაიმედა გურამმა.

დიდხანს ვინეტიალეთ. სათლი წყლით იყო გამონახვერებული, შიგ კი ხუთიოდე თევზი ფართხალბდა. მდინარისპირა ბალებს რომ მივუახლოვდით, გოგო-ბიჭები დავინახეთ. „თევზი რომ გვთხოვონ, რა გვეშველება, ვიფიქრე ჩემთვის, თითო-თითოც არ შევხვდებით.“

— მაგ ქვეშში უფეველად იქნება თევზი. გურამ.—წაგაქეზე ჩემი ამხანაგი, —კარგად დაფერთხე! იქნებ თითო-თითო მაინც შევხვდებოდით ბავშვებს.

— ვისა?—მზეს თვალი მოუხუტა გურამმა და ისე შემეკითხა.—აგერ, ბავშვები! ალბათ, თევზი უნდა გვთხოვონ.

გურამი შეიშმულხნა. რეზინის ჩექმები უფრო ლონიკრად აადგაფუნა წყალში და თავისი აზრით, რაც თევზები იყო, ჩემსკენ გამორეკა.

ბაღეს სამი ლიფსიტა და ერთი მოზრდილი წვერა ამოჰყვა.



- ლიფსიტები გადაყარე!
- იყოს. ისედაც ცოტაა.
- არ გინდა, დავკცინებენ.
- ლიფსიტები წყალში გადაყარე.
- იქითაც დაუფართუნე, გურამ!..—ვაქეზებდო მეგობარს და საქამრემდე წყალში ჩამყავდა. ბავშვები ჩემკენ წამოვიდნენ.
- ბევრი დაიჭირეთ, ძია?—მკითხა გოგონამ, ბიჭებს გამოსაწრო და სათლში ჩაიჭყიტა. გოგონას ჭორფლიანი სახე ჰქონდა, ბიჭებსაც. ვიფიქრე, და-ძმანი იქნებიან-მეთქი.
- ბევრია?—იკითხეს ბიჭებმა.
- ნწუ!—დანანებთ უახსუხა გოგონამ.

მათ ბედზე თითის სიგრძე კალმახი დავიჭირე. ნაპირზე გამოვედი და სათლში ჩავუშვი. ბავშვებს გაუხარდათ.

- რა გქვია?—კვითხე გოგონას.
- ნინო.
- შენს ძმებს?
- დიდს—ნიკა და პატარას—გია... დიდისა—ნია, თევზაობთ?
- დილას აქეთ... გინდათ თევზი?
- აბა?
- აგერ, სათლში.
- ეს ცოტაა... თქვენ არ გყავთ შვილები?
- გყავს... ოთხი მე მყავს, ოთხი—იმას.—განისწე გურამზე.
- აქ სულ ექვსია. თითო-თითოც არ შეხვდებიან.
- არა უშავს რა. დავიჭერთ... სკოლაში დავლიხართ?

— დიას. მე მესამე კლასში ვარ, ნიკა—პირველში, გია კი—ნოლ ჯგუფში.

— ყოჩაღები ყოფილხართ... წაიყვანეთ თითო თევზი!

— ბავშვები იქც არიან,—ხელი გაიშვირა გოგონამ,—თქვენ კი ცოტა თევზები გყავთ... იცით რა, ძია, მე შემძლია, თევზები მოგცეთ.

— რაო?—ყურს არ დავუჯერე.

გოგონამ აღარაფერი თქვა, ხმისამოუღებლად სადღაც გაიქცა და ცოტა ხნის შემდეგ წყლით სავსე ვამჭვირვალე პარკი მოიტანა. წყალში ათიოდე თევზი ფართხალებდა:

- წაიღეთ, ძია, თქვენი იყოს!
- არა, ეგ როგორ შეიძლება!—ვიუკადრისე,—თქვენ პატარები ხართ, ჩვენ უნდა მოგვეცა თქვენთვის.

— აქ ყოველდღე ვიჭერთ ანკესებით. წაიყვანეთ რა, ძია, თქვენს ბავშვებს წაუყვანეთ.

უარის ნიშნად ისევ ხელები გავასავსავე, მაგრამ ნინომ თავისი პარკი სათლში წამოაპირა—ქვა და გაიქცა:

— თქვენს ბავშვებს უთხარით, ნინომ გამოგიგზავნათ—თქო.—მერე შეჩერდა და ნათქვამი შეასწორა:—არა, ვიამ, ნიკამ და ნინომ გამოგიგზავნეს—თქო. ჩვენ ხვალაც დავიჭერთ.



ნეკერძალი

ერთხელ თურმე, ოქტომბერში,
 ტყეს დაეცა შიშისზარი:
 — მოგვეშველეთ! მოგვეშველეთ!
 — ხანძარია, ჰე, ხანძარია!
 — ხევისპირზე ცეცხლი გაჩნდა,
 ჩქარა, დროა, მისწარიო! —
 წიოკობენ ფრინველები,
 ნისკარტებით მიაქვთ წყალი.
 მივიდნენ და რას ხედავენ:
 წითლად ღუის ნეკერჩხალი.



პერკობილი

— აბა, ჰერი! დელი-დელი! —
 მღერიან და გრგვინავს ტაში,
 სამი დღეა ქორწილია
 ლოკოკინას ნიჟარაში.
 ჭია-ჭია — მაიასა,
 ციცქნა გოგოს ხალიანსა
 იცით, ცოლად ვის ატანენ? —
 ქურდბაცაცა კალიასა!



ფყაროსთვალი

ცრემლი სცვივა წყაროსთვალს,
 ცალი უპე უელავს.
 თავზე გადაჰფარვია
 დასიცხული ბუერია.
 — წყაროსთვალო, რად სტირი?
 მესმის შენი წანწკარი.
 — შვლის ნუკრს დედა მოუკლეს,
 ობლად დარჩა საწყალი.



სამომავარი თათქარიმე,
 დიხანნი თათქარიმე,
 გაბურული თათქარიმე...
 ვერ ვინაღის არ უნახავს
 ამნარი მსეკავსებე,
 სამი კასრი წყალი უნდა
 მუღლის ამოსავსებად.
 სამომავარი თუხოუსებს,
 წყალი ღელს და ლეხნეებს,
 ცხელი თრთელი უუსეუსებს.

დილით აღრე სამომავრთან
 მია ზეტე მივიდა:
 — რა კარგია ჩიი,
 მოდი, დაგლევე ჩიის.—

კატო ძელიც მოვიდა,
 ჭიეთი სელში მოვიდა,
 — მოდი, დაგლევე ჩიის,
 მეც კი მივეარს ჩიი.
 აი, ხანაც მოვიდა,
 მოკეკული მოვიდა,
 ფლაცაფლაცოთი მოვიდა.
 — ჩიი უნდა დაულით?
 ავლამ უნდა დაულით?
 ავარ, ბებოც მოვიდა,
 მლიკ-მლიკობით მოვიდა,
 ვაისით ზელში მოვიდა:
 — ჩიი უნდა დაულით?
 თუ ასეა, დაულით.

ნახტი კახელ მხარეში



მოცქრილდა გოვონა,
 ბაღიანი გოვონა.
 ცურუმელა გოვონა:
 — მეც დამისით ჩიი,
 შექრიანი ჩიი.
 ჩქარა ჩიი, ჩიი!

ქით უისი აურუტუნდა,
 აქეთ ბრახობს მური:
 — უწეოდა რომ შექცივლი
 სწორედ უცნაურა.

ჩიი კეინდა რიანი,
 ბურც კარაქიანი—

ბოღის ზურად მოვიდა,
 გაბურმუნული მოვიდა,
 მოთხუნული მოვიდა.
 — უწეოდა სეძით ჩიის?
 მეც დამისით ჩიი,

ჩიი მინდა, ჩიი.
 აქინავეს,
 აუხევავეს,
 აბიჩევავეს სამომავარი:
 ჩიი მოკეკვე წურკოსთიის
 შეკვისრულე სთისომავარი.

მეგრემ წყალი აღდრ ითო
 და ცარიელ სამომავრთან
 მხოლოდ თრთელი,
 მხოლოდ ქაიი,
 მხოლოდ წვეთი წამომავდა.

სამომავარი თათქარიმე,
 ეს კითილი თათქარიმე
 ვინც კი დაგეიანებს,
 გაბურუმებს ამეღებს,—
 მიღისეუდა ზარმაცისთიის
 ჩიის არ ვამეკებს.

1158








თავები და გეხი


წისქვილს საფუქვავი წავიღე, ავიღე სამსა კატასა,
წინ თავიანი შემომეყარნენ, ჩამისდნენ ალაგს-ალაგსა-
ერთსა ვეარ, ფეხი მოვტეხე, მეორე ადგა ალასა.
მესამე შემუქრებოდა,—კიდევ დათესვ ენასა,
ისე მოგიჭამ ერთიან, ცვლს ვერ ავლებდე ჩალასა.

(ი. გოგებაშვილის „დედა ენიდან“)



თავსავეხი


შეადგინა ბორჯო-
მის საშუალო სკოლის
მოსწავლემ ლევან
ბტიფნაძემ.



შეავსეთ ცარიელი
უჯრედები შინაური
ცხოველების შვილე-
ბის სახელებით.

ენის განსატყეპი


ტყუპი ტყლაპი ტყავზე დავდე.



შეადგინა თბილისის მე-60 საშუალო სკოლის მოსწავლე
ლემ თამარ ფირანიშვილმა.

გაგოცანები

კაცუნდ მაღალი, ღორუნდ დაბალი.
დაგკარ ხმალი, არ დააჩნდა კვალი.



რითი განსხვავდება ეს ორი
ნახაზი ერთმანეთისაგან?

თინათინ კვიციანი

* * *

გაცი გაშრჯე ბიჭია,
წესიერი, უთქმელი.
რა ნიშნები მოიტანა?—
სუთები!

* * *

ტუშინ მე და ლალიმ
ბლამად ვჭამეთ ქიშპიში.
ვაი, ჩვენი ბრალი:
ბებო მოდის ვიშვიძით...


გიორგი ნაკათელი

მონადირე

პაწაწინა ჭიანჭველამ
მოჰკლა დიდი ჭიყაყელა,
მერე ზურგზე აიკიდა,
ცოლ-შვილს კარზე მიაყენა.

ოსვაჯი

კახუნია კარახუნამ
მოაგროვა ხარახურა.
არახუნა,
არახუნა...
და ხუხულა გადახურა.



მონახათ ორი ერთნაირი ქათამი.




შთავარი რედაქტორი მუხრან მახაპარიანი

სარედაქციო კოლეჯია: ქაქუჩი გომიზუმილი, ლილია ბრამი, ჯემალ ლოლუა, ზურაბ ლომიძე, მამუკა მარეშლიძე, ირაკლი ძიგრაძე (ა/შ მდივანი), შალვა ცხადაძე (სახ. რედაქტორი), გივი ქვიციანი.
საქ. ალექსანდრე დ. ვ. ლენინის სახელობის შორი პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ეურნალი.
უფლებ ნახათ **თინათინ სამსუნიძე** ტექნოლოგიური განყოფილება 44-ე წელი.




Издательство
ЦК КП Грузии

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: ში. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15;
3/შ მდივნის—93-10-32, 93-98-17; სახ. რედაქტორის—93-98-18; განყოფ.—93-98-19; სამდივნის—93-98-16.
გადაცემა ისაწესიდა 15/VI-71 წ. ხელმოწერილია დის. ბუქლად 17/IX-71 წ. კალაღის ზომის 60x90/
ფიზ. ნახ. ფურც. 24, ტირაჟი 150.500. შეჯ. № 2206. „დილა“ № 10. ნა გრუიუნისკო ეაზუკე. ფიზი 20 კაპ.



„ია“—ნახ. როზმარ კიტიაშვილისა, 8 წ. საინტე-
კაბის რაიონი.



„უკვაკილები“—ნახ. მიაი ზეგაშვილისა,
გურჯაანის რაიონი. სოფ. ახაშენი.

76055



„გოგონა“—ნახ. თამარ კალაღოშვილისა, 6 წ. თბილისი.



„მწვანე ველზე“—ნახატი ფიქრია შალამბერიძისა, 4 წ. თბილისი.
„ჩემი ცხენი“—ნახ. კახა ხვიჩიასი, 10 წ. თბილისი.
„ნატურალიზტი“—ნახ. თეიმურაზ გოგოლაძისა, 6 წ. თბილისი.